სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

11/12/2024

MES 6 24 0001600738

ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის საფაკულტეტო სტიპენდიის დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული "სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის, სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 იანვრის №01-05-04/06 დადგენილების, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საბჭოს 2024 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილების "საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის ორი სახელობითი სტიპენდიის დანიშვნის შესახებ" (ოქმი №7) და ფაკულტეტის დეკანის სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ან ე ბ:

1. დავით სარაჯიშვილის სახელობითი საფაკულტეტო სტიპენდია 2024 წლის პირველი ოქტომბრიდან 2025 წლის პირველ მარტამდე ხუთი კალენდარული თვის განმავლობაში თვეში 200 ლარის ოდენობით დაენიშნოს ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა "საჯარო მმართველობის" სწავლების მეოთხე წლის №111105 ჯგუფის სტუდენტს **სანდრო ცქიტიშვილს** , ბიუჯეტის შესაბამისი მუხლიდან;
2. ნიკო ნიკოლაძის სახელობითი საფაკულტეტო სტიპენდია 2024 წლის პირველი ოქტომბრიდან 2025 წლის პირველ მარტამდე ხუთი კალენდარული თვის განმავლობაში თვეში 200 ლარის ოდენობით დაენიშნოს ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა "საჯარო მმართველობის" სწავლების მეოთხე წლის №111106 ჯგუფის სტუდენტს **ლუკა ნადიბაიძეს** , ბიუჯეტის შესაბამისი მუხლიდან;

3. ბრძანება გამოიკრას ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ის ოფიციალურ ვებგვერდზე;
4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს ფაკულტეტის სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებამ;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64).

ვიცე-რექტორი
წერეთელი თამარ